



ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი 2
- "ბრიტიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ-ის" საკონსტიტუციო სარჩელი 3
- ცვლილებები „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 3
- „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის პროექტი 3

1. ამოქმედდა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონი

2022 წლის პირველი ივნისიდან ამოქმედდა ახალი კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. მისი უმთავრესი მიზანი არის საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სამართლებრივი სტანდარტების დამკვიდრება და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

კანონის ძირითადი სუბიექტები მომხმარებლები და მოვაჭრეები არიან, რომლებიც ერთმანეთთან სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან. აღნიშნული კანონით მოწესრიგდა სხვადასხვა სამომხმარებლო სფერო, მათ შორის: დისტანციური და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადებული ხელშეკრულებები, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები, შეცდომაში შემყვანი რეკლამა და კომერციული საქმიანობა, ხელშეკრულების უსამართლო პირობები.

ჩამოთვლილთაგან მომხმარებელთა უფლებების პრიორიტეტულობა განსაკუთრებულად მკაფიოდ ჩანს დისტანციური და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებების ნაწილში. კანონმდებელმა ხელშეკრულებით შესაბამისი პროდუქციის მიღების დროს მომხმარებელს მიანიჭა უფლება, პროდუქტის მფლობელობაში მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ მიმართულებით, კანონი ითვალისწინებს გამონაკლისებსაც, რომლებიც ძირითადად მიემართება პროდუქტის თვისებებიდან გამომდინარე მათი უკან დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევებზე.

გარდა ამისა, მოვაჭრეს დამატებით განესაზღვრა იმ ინფორმაციათა მიწოდების ნუსხა, რომელიც მან მომხმარებელს უნდა გადასცეს. მაგალითად, სავალდებულოა მომხმარებელს მიენოდოს ინფორმაცია მიაწოდოს მოვაჭრის სავაჭრო დასახელების, მისი ფაქტობრივი მისამართის შესახებ, თუ ის განსხვავდება იურიდიული მისამართისგან. ასევე, მომხმარებლისთვის სავალდებულოა ინფორმაციის მიწოდება საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, გადასახადების ჩათვლით, ხოლო თუ აღნიშნული ფასის

წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია - მისი გამოთვლის წესის თაობაზე. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ მოვაჭრის ვალდებულება მოიცავს მომხმარებლისთვის საქონლის დაყოვნების გარეშე მიწოდებას, მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღისა.

მომხმარებლის ვალდებულებების ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

საყურადღებოა, რომ კანონის მიზნებისთვის დისტანციურად დადებული ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული რეგულირება მიემართება საქართველოში ოპერირებად მოვაჭრეებს და ის არ გავრცელდება უცხოურ ონლაინ მაღაზიებზე.

კანონის დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს კონკურენციის ეროვნული სააგენტო მომხმარებელთა დაცვის შესაბამისი სამსახურის მეშვეობით, რომელიც 2022 წლის პირველი ნოემბრიდან დაიწყებს ოპერირებას. კონკურენციის სააგენტო, როგორც ეს ევროკავშირის დირექტივითაც არის გათვალისწინებული, შეასრულებს ერთგვარი არბიტრის როლს, შეაფასებს კანონის დარღვევის ტენდენციებს და მოვაჭრეების მიმართ კონკრეტულ ზომებს მიიღებს. სანქცია კი შეიძლება მოიცავდეს, როგორც გაფრთხილებას, ასევე, მოვაჭრის წინა წლის ბრუნვის არაუმეტეს ორი პროცენტით დაჯარიმებას. მოვაჭრის მიერ დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმა დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

2. "ბრიტიშ ამერიქან ტობაკო კორპორეიტივნი" საკონსტიტუციო სარჩელი დაკმაყოფილდა

2022 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა იმ ნორმასთან დაკავშირებით, რომელიც გამორიცხავს თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციის ნებისმიერ შესაძლებლობას. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მართლზომიერი ეკონომიკური ინტერესის არსებობისას კრძალავს თამბაქოს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის მიერ ამავე ბაზარზე მოქმედ მეორე ეკონომიკურ აგენტზე თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციას. სასამართლომ ის განიხილა მენარმეობის თავისუფლების ქრილში და გამოკვეთა, რომ "კონკურენტულ ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც შებლდულნი არიან კონკრეტული ნაწარმის საბაზრო ფასით, როგორც წესი, არ გააჩნიათ მისი თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციის მიზები, რადგან აღნიშნული ფინანსურად არამომგებიანია მათთვის." გამონაკლისის სახით ეკონომიკურ აგენტებს შესაძლებელია, მაინც ჰქონდეთ დანახარჯებზე დაბალ ფასად ნაწარმის რეალიზაციის ლეგიტიმური ეკონომიკური ინტერესი. შესაბამისად, „ბაზარზე საქონლის შეთავაზება თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, შესაძლებელია, განპირობებული იყოს არა კონკურენტი ეკონომიკური აგენტისათვის ზიანის მიყენებისა და საბაზრო სეგმენტიდან განდევნის მოტივით, არამედ გააჩნდეს რაციონალური ეკონომიკური ახსნა და ეფუძნებოდეს ობიექტურად არსებულ ლეგიტიმურ ბიზნეს საჭიროებებს."

ნორმის ამ სახით განმარტებამ სასამართლოს საშუალება მისცა დაედგინა, რომ თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად თამბაქოს გაყიდვა თავიდანვე არ გულისხმობს სხვისთვის ზიანის მიყენებული მიზნის არსებობას. შესაბამისად, თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის სიტყვების „ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად“ საერთო სასამართლოს მიერ დადგენილი ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად

რეალიზაციის ნებისმიერ შესაძლებლობას, იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი.

3. ცვლილებები „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში

2020 წლის 13 მაისს ცვლილებები შევიდა "უმალესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, რომლის მიხედვით განისაზღვრა საჯარო და კერძო თანამშრომლობის საერთაშორისო ელემენტების შემცველი სხვადასხვა ფორმები საგანმანათლებლო სფეროში. კანონში გაჩნდა ჩანაწერი საერთაშორისო სკოლის სტატუსის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო სფეროს ინტერნაციონალიზაციასა და განვითარებას.

შემოთავაზებული ცვლილება შესაძლებელს ხდის, რომ საერთაშორისო სკოლების ფორმით შექმნილი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მმართველობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, განახორციელოს უცხოურმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა/ორგანიზაციამ, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო სფეროში საქმიანობის მნიშვნელოვანი და წარმატებული გამოცდილება. საერთაშორისო სკოლის ჩამოყალიბება შესაძლებელია სამინისტროს მხრიდან წინამდებარე ცვლილებებით გათვალისწინებული თანხმობის გაცემის შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოეთში დაფუძნებულ იურიდიულ პირს (საერთაშორისო სამაგისტრო-სადოქტორო სკოლა/საერთაშორისო სკოლის მმართველ) შორის დადებული პარტნიორობის ხელშეკრულების საფუძველზე.

4. „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის პროექტი

2022 წლის 4 ივლისის მთავრობის სხდომაზე განიხილეს საქართველოს კანონის პროექტი მიკრობანკების საქმიანობის შესახებ". აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით საფინანსო ბაზარზე მომავალი წლიდან ახალი სუბიექტები - მიკრობანკები გამოჩნდებიან, რომელთაც ზედამხედველობას საქართველოს

ეროვნული ბანკი გაუნევს. ის საშუალებას აძლევს მიკროსაფინანსო სექტორს, გარდაიქმნან მიკრობანკად, შედეგად კი მოიზიდონ მეტი კაპიტალი და დეპოზიტები.

მიკრობანკებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა ახალ სუბიექტებსაც ექნება. ნებისმიერი მიკრობანკისთვის კაპიტალის მოთხოვნა 10 (ათი) მილიონი ლარი იქნება. მიკროსაფინანსოებთან შედარებით, კანონპროექტით იზრდება სესხის გაცემის ლიმიტიც ასი ათასიდან ერთ მილიონ ლარამდე. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტით მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები შეძლებენ გარდაიქმნან მიკრობანკებად და შედეგად კი გაუჩნდეთ მეტი საფინანსო რესურსთან წვდომა.

განმარტებითი ბარათის მიხედვით კანონპროექტის მიღებით საფინანსო სექტორში შეიქმნება საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნესმოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ორიენტირებული იქნება სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობაზე. აღნიშნული გაზრდის ბაზარზე თავისუფალ კონკურენციას და გამოიწვევს საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. გაიზრდება საფინანსო პროდუქტების ხელმისაწვდომობა და ფინანსური ჩართულობა, განსაკუთრებით რეგიონებში. დამატებით, მიკრო ბანკებს ექნება სოციალური მისიაც, რომელიც უკავშირდება მცირე ბიზნესის განვითარების შედეგად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

კანონპროექტით განისაზღვრება მიკრო ბანკისათვის ნებადართული საბანკო საქმიანობა:

- სესხების, გარანტიების, აკრედიტივების და ლიზინგის გაცემა, ფაქტორინგული ოპერაციები, ამ კანონის პროექტით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში;
- პროცენტის და უპროცენტო მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა მხოლოდ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის

შესაბამისად დადგენილი ზღვრის ფარგლებში, ასევე ზღვრის ზემოთ, მიმდინარე ანგარიშების მომსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლიკვიდობის მოთხოვნების დაცვით; ასევე სხვა დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა, მათ შორის, ფიზიკური პირებისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მენარმისაგან) კანონის პროექტით დადგენილი წესით; საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება; ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება; საგადახდო ბარათების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება; საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;


- უპროცენტო საბანკო მომსახურება; დერივატივის დადება, საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული საქმიანობის განხორციელება საჭიროებს საბროკერო საქმიანობის ლიცენზიას;
- საკუთარი და კლიენტთა სახსრებით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა; ფასეულობათა შენახვა; ქონების იჯარით გაცემა მხოლოდ მიკრო ბანკის საქმიანობის განსახორციელებლად;
- თითოეულ ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები.

ამასთან, მიკრო ბანკი, უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის გარდა, საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით დამატებით განახორციელოს საბროკერო კომპანიისათვის ნებადართული საქმიანობა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საკონტაქტო ინფორმაცია:

*საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28*

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)
მობილური: (+995) 555 018585
ელ-ფოსტა: info@nplaw.ge



**NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS**